№ 93

კვირა, 29 აპრილი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისი

№ 93

კვირა, 29 აპრილი, 1901 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი და გრიგოლ მელვინოვები, მარიამ კრიშჩიანისა, ოლგა ხერხეულიძისა, ნინო მზარეულიანცი და ანნა და ალექსანდრა მელვინოვებისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი მათის ძმის, ხოლო უკანასკნელნი მაზლის

ალექსანდრე სტეფანეს ძის მელვინოვის

მოულოდნელად გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ შაბათს, საღამოს 7 საათზედ, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, სერგეი მელვინოვის სახლში, № 140. განსვენებულის გვამს ბინიდგან კვირას, 29 აპრილს, გაასვენებენ კუკიის თანდოიან წმ. ღვთისმშობლის ეკკლესიაში, ხოლო იქიდგან ხოჯივანქის სასაფლაოზედ დასაკრძალავად.

(2—109—2)

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—14)

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика".

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი

აცხადებს, რომ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წელს ამ საკომერციო სასწავლებლის შემდეგ კლასებში: **უფროს მოსამზადებელსა, პირველსა და მეორე კლასებში** ახლად შემსვლელ მოსწავლეებს არ მიიღებენ ვაკანსიის უქონლობისა გამო.

(6—6.—2)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სთხოვს ტფილისის გუბერნიის იმ თავადთა და აზნაურთ, რომელთაც თავად-აზნაურთა კრებაზედ ხმის უფლება აქვთ, მობრძანდნენ **29 ამა აპრილს,** შუადღის **12** საათზედ, **ტფილისის** სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის სადგომში თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზედ.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

თავად-აზნაურთა ქონების გამგებლობის საქმე, სარევიზიო კომისიის მოხსენება თავად აზნაურთა ქონების გამგეობის მოქმედების შესახებ, ახალი დებულება თავად-აზნაურთა ქონების გამგებლობისა, თანამდებობის კალთა არჩევანები, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელ წევრთა დასაფუძნებელ ფულის საქმე, დეპუტატთა საკრებულოს საქმის წარმოებისა და მოსამსახურეთა მდგომარეობის საქმე და ქართულ დრამატიულ საზოგადოების დავა ტფილისის გუბერ. თავად-აზნაურთა ქონების გამგეობას იან.

(3—6.—2)

წმ. ნინოს სახელობის თელავის დედათა საქველ მოქმედო საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ **თელავის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში** ამა მიმდინარე სამოსწავლო წელს ორი **საიმპერატორო** სტიპენდიანტი ამთავრებს სწავლას. განთავისუფლებულ ვაკანსიებზედ **ახალ სტიპენდიანტების მიღება მოხდება ამა მიმდინარე წლის 3 ივნისს კენჭის ყრით.** თხოვნები საჭირო საბუთის ქაღალდებითან ერთად უნდა გაიგზავნონ გამგეობის სახელობაზედ. თხოვნები 20 მაისამდე მიიღება.

(3—უ.—1)

ქართული თეატრი

ქართული დრამატიული საზოგადოება
კვირას, 29 აპრილს,
გ. ნ. სუნდუკიანცის კომედიის „პეპოს" 30 წლის სახსოვრად გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება:

I

პეპო

კომედ. 3 მოქ. თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა მონაწ. მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, ნებიერიძე; ბ.ბ. ყიფიანი, აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვ.

II

გ. ნ. სუნდუკიანცის პატივსაცემლად გაიმართება

აქცი

ადგილების ფასი მომატებულია.
დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ.
ბილეთები ისყიდება ყოველ დღე კასსაში.

გამგენი: ვ აბაშიძე და კ. მესხი,

(3—უ—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (გარანგოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება სხვა და-სხვა საქმეების განსახილველად დაიწყობა დღეს შუადღის 12 საათზედ საადგილ-მამულო ბანკის სადგომში.

*** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 29 აპრილს, ქართულ თეატრში ბ-ნ სუნდუკიანცის პატივსაცემად სადღესასწაულო წარმოდგენა იქმნება გამართული. წარმოადგენენ „პეპოს".

*** გუშინა ვწერდით, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი ჩიმაკაძე თანამდებობიდგან გადაყენებულ იქმნა. როგორც ეხლა „ცნ. ფურ."-ს ატყობინებენ, ბ-ნთ ჩიმაკაძესა, ქალაქის მოურავად ნამყოფ ლოლუასა და გამგეობის წევრად ნამყოფს გაბაშვილისთვის ხმოსნობის უფლებაც ჩამოურთმევიათ. არჩევანები ქალაქის მოურავისა ხვალ, 30 აპრილს, მოხდება.

*** საქართველოს ეგზარხოსის შუამდგომლობის თანახმად, უწმ. სინოდს ნება დაურთავს საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებელში შემცირებულ იქმნას საეკკლესიო გალობის გაკვეთილები. ამ სასწავლებლების უმცროს განყოფილებაში დღემდე კვირაში სამი გაკვეთილი იყო, ამიერიდგან-კი ორი იქმნება. ერთი მეტი გაკვეთილი რუსულს ენას დაეთმობა.

*** სამშაბათს, 25 აპრილს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ საბოლოოდ შეიმუშავა და დაამტკიცა წესი ტფილისში წმ. მარიამ მაგდალინელის სახელობაზედ თავშესაფარის დასაარსებლად. როგორც წესიდგანა სჩანს, აღნიშნულ თავშესაფარის შესანახად დასჭირდება ქალაქს სულ 2292 მან., ქალაქი გადასდებს 1000 მან. წელიწადში, დანარჩენს ხელისმოწერით შეჰკრებენ. თავშესაფარში მიიღებენ ქალებს სამის წლის ვადით, როგორც მცირე წლოვანთ, აგრეთვე სრულ-წლოვანთაც, მხოლოდ არა უხნიერეს 30 წლისა; სასყიდელი არავის გამოერთმევა; ასწავლიან სამი წლის განმავლობაში სამღთო სჯულს, წერა-კითხვას და სხვა-და-სხვა ხელოსნობას. ქალაქის გამგეობა ახლო მომავალში წარუდგენს საბჭოს ამ საქმის შესახებ მოხსენებას განსახილველად.

*** ორშაბათს, 30 აპრილს, ქალაქის საბჭოს შემდეგ მორიგ სხდომაზედ განსახილველად დანიშნულია სულ 16 საქმე. საბჭო განიხილავს 10 ძველს საქმეს და შემდეგ ახალს: ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის მოწერილობას კავკასიის მთავარ მართებლის იმ განკარგულების შესახებ, რომ მიცემულ იქმნენ პასუხის გებაში ქალაქის მოურავი გ. ევანგულოვი, გამგეობის წევრი ე. ხოსროევი; ქალაქის გამგეობის წევრებად ნამყოფნი თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ა. ივანენკო და ს. ვერმიშევი; აგრეთვე ქალაქის ხმოსნის, დამფასებელ კომისიის წევრის თავ. ნ. ზ. თუმანოვის საქმის გამოძიების მოხდენის შესახებ და სხვანი. საბჭოს სხდომა დაიწყება საღამოს 8 საათზედ.

*** ყარსის სამხედრო გუბერნატორმა შეატყობინა კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს, რომ, მისის თავმჯდომარეობით, ქ. ყარსში შესდგა განსაკუთრებული

კომისია, რომელსაც აზრად აქვს დაეხმაროს გამოფენის გამმართველ კომიტეტს კავკასიის გამოფენის მოწყობის საქმეში. ყარსის გუბერნატორს ამასთანავე მოწერილობა გაუგზავნია ყველა ამ ოლქის მოხელეთათვის დახმარება გაუწიონ კომიტეტს მისის აზრის საუკეთესოდ განსახორციელებლად.

⁂ როგორც „Юж. Кр.“ ის ხარკოვიდგან დეპეშით ატყობინებენ, ხარკოვის უნივერსიტეტის გამგეობას დაუდგენია უკანვე მიიღოს ის სტუდენტები, რომელნიც წრეულს მომხდარ არეულობის დროს დაითხოვეს. დათხოვნილმა სტუდენტებმა თხოვნები უნდა გაგზავნონ რექტორის სახელზედ.

⁂ საეპარქიო საბჭომ ნება დართო სიღნაღის მაზრის სოფლ. ველისციხესა და გურჯაანში დაარსებულ იქმნას წერა-კითხვის სკოლები.

⁂ ამ უკანასკნელს ხანებში ტფილისის გუბერნიის ზოგიერთს ადგილებში სეტყვა მოსულა, რომელსაც მოსავალი და ხეხილი დაუზიანებია.

⁂ მაისის დამდეგს ტფილისში ამიერ კავკასიის გუბერნატორთა კრება მოხდება სხვა-და სხვა საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ განზრახვა აქვთ სამრევლო-საეკკლესიო სკოლების საეპარქიო მეთვალყურეთ სახალხო სკოლების დირექტორთა უფლებანი მიანიჭონ.

⁂ ხვალ, ორშაბათს, ქალაქის საბჭოს სხდომა ექმნება სხვა-და-სხვა საქმის განსახილველად.

⁂ ქალაქის მოურავს ოფიციალურის წერილით უთხოვნია ქალაქის ხმოსანთა და საპატიო მოქალაქეთათვის დაეხმარნენ უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოებას.

⁂ 27 აპრილს ტფილისის სამოსამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტმა განიხილა საქმე ბ-ნ ნასირბეგოვისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს ამ ბანკის დირექტორად ნამყოფის ყიფიანის მიერ გაფლანგულ 29 ათას მანეთს ედავება. პალატამ დაადგინა გადასდოს საქმე და, მოპასუხის თხოვნის თანახმად, ზოგიერთ გარემოებათა გამოსარკვევად ახალ მოწმეებს ჩვენება ჩამოართვას.

⁂ როგორც ვუწყით, აზრადა აქვთ შემოდგომაზედ კავკასიის ბაღოსანთა კრება მოახდინონ. კავკასიის უმაღლესს მთავრობის წარმომადგენლად კრების გამმართველ კომიტეტში დანიშნულ იქმნა მთავარმართებელთან მყოფი აგრონომი თავ. ჩოლოყაშვილი.

⁂ ოთხშაბათს, 2 მაისს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება მოხდება. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

⁂ ამიერ-კავკასიის მეთევზეობის მდგომარეობის გამოსარკვევად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოგზავნა მეთევზეობის სპეციალისტი ბოროდინი, რომელსაც მინდობილი აქვს ამასთანავე შეაგროვოს მასალები მტკვრის შესართავთან მეთევზეობაზედ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ.

⁂ ტფილისის რეალურ სასწავლებელში ეგზამენები 30 აპრილიდგან დაიწყება.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი 5. ა. ტარსაიძე დანიშნულ იქმნა ამავე ოლქის სასამართლოს წევრად.

⁂ მომავალ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილი განუცხადებიათ, სხვათა შორის, ტფილისის თამბაქოს ქარხნებისა, სასმელთა ქარხნებისა, ღვინის სავაჭრო ფირმათა და უცხოელთა ქარხნის „ავტომატის“ პატრონებს.

⁂ ქალაქის გამგეობას უკანასკნელ სხდომაზედ განუხილავს ტფილისში წმ. მაგდალინელის სახელობის თავშესაფარის დაარსების პროექტი და მოუწონებია ეს პროექტი საბჭოში იქმნება შეტანილი განსახილველად.

⁂ დღეს ტფილისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების წევრთა კრება მოხდება.

⁂ 25 აპრილს საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულო შეუდგა ქ. ტფილისის მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას.

⁂ ტფილისის ქალაქის 6 კლასიან რკინის გზის სასწავლებელში ეგზამენები 15 მაისს დაიწყება და 9 ივნისს დასრულდება, ხოლო 10 ივნისს მოსწავლეთ მოწმობებს დაურიგებენ და დაითხოვენ.

⁂ ტფილისის საგუბერნიო საპყრობილეში 26 აპრილს სულ 474 პატიმარი ყოფილა; ამავე დროს მეტეხის საპყრობილეში ყოფილა სულ 346 პატიმარი.

⁂ მოსკოვის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას მოუწერია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომ მაისის პირველს რიცხვებში მოსკოვში ფრინველთა მოშენების გამოფენა იწყება და გთხოვთ რამდენიმე მედალი და ქების ფურცლები გამოგზავნოთ საუკეთესო ექსპონატების დასაჯილდოვებლადაო.

⁂ კავკავი. 23 აპრილს ბ-ნ კუხიანიძის მეცადინეობით აქაურს თეატრში გაიმართა ქართული ეტნოგრაფიული კონცერტი, რომელმაც ძალიან კარგად ჩაიარა. ხალხი მეტად ნასიამოვნები დარჩა. ხორო გამოწყობილი იყო საერო ტანისამოსში. ბ-ნ კუხიანიძეს საჩუქარი მიართვეს. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ კონცერტში უმეტესად უცხო ტომის ხალხი დაესწრო და არა ქართველობა.

⁂ როგორც ბათუმიდგან გვატყობინებენ, 26 აპრილს, ორთქლმავალს № 75 გაუჭყლეტია მეისრე გ. რამიშვილი, რომელიც ორთქლმავალიდგან გადმოვარდნილა.

გულ-ახდილი თხოვნა ქართველ საზოგადოების მიმართ.

წარსულს 1900 წელს, 30 ნოემბერს, ქ. კიევში ქართველმა სტუდენტობამ ჩვეულებრივი ეროვნული საღამო გავმართეთ. როგორც „ივერიის“ ფურცლებიდგან ეხსომება პატივცემულს მკითხველს საზოგადოებას, შეღავათის ნაცვლად, საღამომ 600 მ. ზარალი მოგვცა. მას აქეთ აგერ მეხუთე თვე გადის, ეს 600 მან. დღესაც მძიმე ვალად გვაწევს კისერზედ. ჩვენის მხრივ ყოველივე ღონისძიება იყო მიღებული, რომ ვალი როგორმე საზოგადოების შეუწუხებლივ გაგვესტუმრებინა, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაგვიარა. მივმართეთ თხოვნით, სხვათა შორის, ზოგიერთ საქველ-მოქმედო დაწესებულებასა და აგრეთვე საპატიო კაცებს საქართველოში, მაგრამ ამათ პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს. თუ აქ ჩვენის ძალ ღონით რამდენიმე გროში შევაგროვეთ, ისიც ღარიბს ამხანაგებს დავურიგეთ. როდესაც ვიგონებთ, რომ ამ ვალიდგან, პირობისამებრ, ნახევარი მაისში უნდა გავისტუმროთ და დანარჩენიც სექტემბერში, სასოწარკვეთილებას ვეძლევით, რადგანაც არ ვიცით, სად ან ვის უნდა მივმართოთ და პასუხი ვაგოთ. მასთან წლიური გამოცდაც ამ დღეებში დაგვეწყება და მაშ ხომ სულ აღარ გვექნება დრო ამაზედ ფიქრისა!..

ვაუწყებთ რა ამ ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას ქართველს საზოგადოებას, უმორჩილესადა ვთხოვთ ყველას დახმარება აღმოგვიჩინონ, ვარწმუნებთ ამასთანავე, რომ ამ არაჩვეულებრივი საშუალებისათვის გვაიძულა მიგვემართა, დიდის ყოყმანის შემდეგ, მხოლოდ გარემოებათა აუცილებლობამ და უკიდურესმა გაჭირვებამ.

შემომწირველთა ვინაობა მადლობით იქნება გამოცხადებული ადგილობრივს ქართულს გაზეთებში.

ადრესი: „Кіевъ. Степановская 7, кв. 3. преподавателю гимназіи Шіо Алексѣевичу Читадзе.

ვთხოვთ ყველა ქართველ რედაქტორ-გამომცემლებს ეს მოკლე წერილი თავიანთს ორგანოებში გადაბეჭდონ.

ამხანაგობის მონდობილობით

ა. ი. ჩხენკელი

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება.

გუშინ-წინ, 27 აპრილს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა ამ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება უგანათლებულესის თავადის პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით. პირველად კრებას წარუდგინა საბაღოსნო სკოლის სამეურნეო კომისიის მოხსენება საბაღოსნო სკოლის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. როგორც მოხსენებიდგან სჩანს, კომისიის აზრით საბაღოსნო სკოლაში უწესოება და სწავლის შეჩერება გამოუწვევია სკოლის გამგეთა უყურადღებობას. ამასთანავე კო-

ფელეტონი

ქუთათური პირ-ვარამი.

> „გაბრიელ ეპისკოპოსმა სარწმუნოება გაამეცნიერა და მეცნიერება გაასარწმუნოვა“.
>
> ილია ჭავჭავაძე
>
> რასაც დასთეს, იმას მომკი.
>
> ხალხური

ახალ წლის პირველ დღეებში ყმაწვილებიც-კი უფრთხილდებიან თავისს თავს: არ უნდათ ცუდი რამ ჩაიდინონ, სულ სიამ-ტკბილობასა და ბეჯითობას ადგანან, რომ ვითომ-და მეორე წლამდე ავი აიცილონ და კარგი დაიკვებონ...

იმერეთის სამღვდელოებამ ღირსეულად აღასრულა ეს მამა-პაპური პატიოსანი ჩვეულება ამ ახალი საუკუნის სათავეში; ხოლო სამოქალაქო მოღვაწეებმა, ავად მტერი გეყოლოთ, ავი საქმეები დაიკვებს, მაგრამ ამაზედ შემდეგ და ჯერ-კი პირველის შესახებ ვისაუბროთ:

იმერეთის ეპისკოპოსს, ყ-დ სამღვდელო ლეონიდსაც ერგო უკანასკნელად პატივი ეცა თვისის ღირსეულის წინა-მოადგილესათვის, რომლის თავ-გადასავალი ავად და კარგადაც სარკედ და სახელმძღვანელოდ მიჩნეული უნდა იყოს ყოველ ნამდვილ გულწრფელ და უანგარო ქართველ, როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო, მოღვაწისათვის.

ამ წლის იანვარში ყოვლად სამღვდელომ გელათის მონასტერში წირვა გადაიხადა და განსვენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის აკლდამას სახატე დაადგა. წირვას მრავალი გაბრიელის მსასოებელთაგანი დაესწრო...

ამ შემთხვევამ თვალ წინ მრავალი და აუარებელი ავი და კარგი წამოგვიყენა, რაიცა ღვთივ განბრძნობილს მოძღვრის მოღვაწეობას აუცილებლად თანასდევდა. აი ამ წამის აღძრული აზრები გვსურს მკითხველს გავუზიაროთ უფრო იმის შესაგნებად, თუ რამდენად ტანჯულია ყოველთვის ჩვენში უანგარო მოღვაწე და რა გულ-დაწყვეტილად ვისტუმრებთ საიქიოს ისეთს მამულიშვილებსაც-კი, როგორიც გაბრიელ ეპისკოპოსი იყო. თუ ამ დიდებულს მოძღვარს ვერ შეუმსუბუქა მძიმე ულელი ჩვენებურის მოღვაწისა ვერც დიდმა ნიჭმა, ვერც დიდმა გამოცდილებამ, ვერც უფლებით მოსილმა თანამდებობამ, ვერც ყველასათვის აშკარა და თვალ-საჩინო მისის მოღვაწეობის ნაყოფიერებამ, რაღა დაიფარავს ჩვენის ავ-ყიაობისა, ხრიკებისა და უმადურობისაგან საშუალო მოღვაწეს, რომელსაც უამისოდაც ბევრი, გარედგან მოზღვავებული, უხამსი გარემოება ხელ-ფეხს უბორკავს და თავისუფალ მოძრაობის სახსარს არ აძლევს.

მოკლედ მოვიხსენიოთ, რა ღონიერი მოღვაწე იყო გაბრიელი და რა დიდებულის ხელოვნებითა და ძლევა-მოსილებით ასრულებდა იგი თავისს რთულსა და მძიმე მოვალეობას და მერმე მოვიყვანოთ მისი სასოწარკვეთილებით სავსე და ნაღვლიანი გოდება, რაიცა მას შინაურმა და გარეგანმა სულის შემბღალველმა გარემოებამ წარმოათქმევინა.

ფელეტონის სათაურში მოყვანილი სიტყვები ისეთის კაცის ნათქვამია, რომელიც თანამედროვე ცოცხალი მოწმეა გაბრიელის მოღვაწეობისა; მაშასადამე, ამ სიტყვების აზრი ზედ-მიწევნით ახასიათებს გაბრიელის ნამოქმედარს.

ჩვენთვის ყველაზედ უფრო საჭირო იყო ეკკლესიის ისეთი თავი და პატრონი, რომელსაც შესძლებოდა ქართველის სულსა და გულში წასაქცევად დაქანებული „რქა ცხოვრებისა“ ისევ ფეხზე წამოეყენებინა, ისეთი მოღვაწე იყო საჭირო, რომელსაც შესძლებოდა ეგ დიდი საქმე გაბრიელ ეპისკოპოსმა შესძლო თვისის ცხოვრება-მოძღვრებით და მოღვაწეობის ნაყოფიერებითო: მან სარწმუნოება გაამეცნიერა და მეცნიერება გაასარწმუნოვაო, ამბობს ილია ჭავჭავაძე.

მართალია, მესამოცე წლების ინტელიგენტთაგან, ვინც ცხოვრების ფუფუნების მორევმა არ ჩაითრია და ხორცის ნებივრობამ არ გადაჰყვა, ზემოხსენებულ შეგნებულობისათვის სამოღვაწეო ასპარეზზედ შესამჩნევი კვალი გაიტანეს, მაგრამ ისინი ამ სარბიელზედ ვიწრო ფარგალში ტრიალებდნენ და თან უფრო მეტი შრომის მოზიარე და თანაშემწე ჰყავდათ; გაბრიელი კი მარტოდ-მარტო ეწეოდა დიდის მოვალეობის უღელს. აქ იგი თეორეტიკიც იყო, პრაქტიკიც, ადმინისტრატორიც, მსაჯულიც, პუბლიცისტიც, პედაგოგიც და ისეთი მოძღვარიც, რომელსაც ყოველის წოდებისა და თანამდებობის კაცთან და წარმომადგენელთან პირისპირ უნდა ესაუბრა, ემოძღვრა და ებრძოლნა. ყოველსავე ამას გაბრიელი ღირსეულად ასრულებდა და ძლევამოსილებითა და წარმატებით იგერიებდა შინაურსა და გარეშე მტერს.

განსვენებულის მოღვაწეობის დასაწყისში სასულიერო სასწავლებლები წყვდიადით იყო მოცული; სწავლა-განათლების ლამპარი აქ არც-კი ჰბჟუტავდა: არც მასწავლებელი ჰგავდა მასწავლებელს, არც მოწაფე მოწაფეს; არც სახელმძღვანელო, არც წესრიგი, არც მეთოდი სწავლებისა. გაბრიელმა დავითივით დაამარცხა ამ წყვდიადის გუშაგი გოლიათი, და მისი გარდაცვალების დროს სასწავლებლებს, ადრინდელთან შედარებით, ცათამდე ამაღლებულს, კეთილ განწყობილს, გაფართოებულსა და გაკეთებულსა ვხედავთ. ორმა ჩინებულმა ქართველმა პედაგოგმა, რომელთაგან ერთი უდროოდ გამოსტაცა ხელიდგან სიკვდილმა, გაბრიელის შეწეობით და მფარველობით შესძლეს თავისის ნაყოფიერის შრომის განხორციელება ჩვენის ახალგაზრდობის ასაზრდელად.

წელში ვერ იმართებოდნენ მლოცველები, ისეთი საყდრები იდგა სოფლებში, და მრევლსა და მღვდელს შორის მხოლოდ ნივთიერი, ფულსა და საკურთხზედ აგებული, ურთიერთობა ჰსუფევდა და ამ გვარს ურთიერთობას ღონიერი და მრავალრიცხოვანი ქომაგი ჰყავდა. გაბრიელი სამსონ ძლიერივით შეებრძოლა და დაამარცხა ამ უწესოების მომხრენი; ხოლო სად ჰნახავთ ახლა ისეთს სოფელსა ქუთაისის გუბერნიაში, რომ გაბრიელის აშენებული ეკლესია არ მოკიანთობდეს და ათ მცნებასავით მისი ქადაგებანი არ იყოს დაცული და დიდის სასოებით არ იკითხებოდეს.

გენათლებთანა და ქუთათლებთან ერთად დაიმარხა თითქო ჩვენი ჩვენებური მოძღვრების საგანი: მღვდელი და ბერი სდუმდნენ და აღარ იცოდნენ, რა ემოძღვრათ, რა ექადაგნათ. გაბრიელმა აღადგინა სამოძღვრო საგანი და მთელს თავისს მღვდელ-მთავრობაში იოანე ოქროპირივით ამხილებდა და ანუგეშებდა ცოდვილთა, ა წავლიდა, არიგებდა გზა და ნეულთა, უთითებდა იმედისა და ს გნისაკენ. განა მოიძებნება დასავლეთ საქართველოში ისეთი სამრევლო, სადაც მისი გონიერი, მიმზიდველი, საგულისხმო და გავლენიანი სიტყვა-დარიგება გულში არავის მოხვედროდეს!? ახლაც ისეთისავე აღტაცებით ეგებებიან მისს სიტყვას, როგორც სიცოცხლეში. ასე იმიტომ მოხდა, რომ გაბრიელი თავისს სიტყვას თვით საქმით ამტკიცებდა. მისი ანდერძი ასე იწყება: არა არს ჩემი, ყოველივე ღვთისაო...

იმერეთის მხარე ზნეობითად და სარწმუნოებითად დარღვევისა და დაწიოკების გზაზე დამდგარიყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისია ამბობს თავისს მოხსენებაში, რომ საბალოსნო სკოლის ეზოში ისეა „სიდამპლის" სენით გაფუჭებული ხეები და სხვა მცენარეულობა, რომ იქ შემდეგში სწავლის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელიაო. ამისდა მიუხედავად ვიდრე გადაწყდებოდეს ის, თუ სად გადაიტანონ სკოლა, სწავლა მაინც უნდა გაგრძელდეს ეხლავე მე-2 და 3 განყოფილებაშიო. პირველად ეს მოხსენება განუხილავს საზოგადოების საბჭოს, რომელსაც დაუდგენია დაავალოს სკოლის დროებით გამგეს მ. ჯაფარიძეს შეატყობინოს სკოლის მეორე და მესამე განყოფილებათა მოსწავლეებს გამოცხადდნენ სკოლაში სწავლის განსაგრძობად. საზოგადოებამ, მცირე ხნის კამათის შემდეგ, დაამტკიცა საბჭოს გარდაწყვეტილება სკოლაში ეხლავე სწავლის განგრძობის შესახებ.

შემდეგ საზოგადოებამ განიხილა საბალოსნო სკოლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, საიდგანაც სჩანს, რომ სხვა-და-სხვა წყაროებიდგან სკოლას შემოსავალი ექმნება 15,906 მან. 85 კაპ., ხოლო ხარჯი 15,304 მ. 84 კაპ. ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზოგნი ამბობდნენ, რომ ხარჯთ-აღრიცხვა იმ პირობით დავამტკიცოთ, თუ სკოლისათვის ადგილს ვიშოვნით და პირობით შევეკრობით ამ ადგილის პატრონს; წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ხათჯთ-აღრიცხვა დავამტკიცოთ და ადგილი-კი ვერ ვიშოვოთ და ნაშოვნ ადგილზედ შემდეგ უარი გვითხრანო. და კარგა ხნის კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით კრებამ თითქმის შეუცვლელად დაამტკიცა ხარჯთ აღრიცხვა. დიდი კამათი გამოიწვია აგრეთვე კომისიის მოხსენებამ სკოლის სხვა ადგილას გადატანის შესახებ. კომისიის აზრით, შეიძლება ეხლანდელი ადგილი სკოლისა 340,000 მან. გაიყიდოს და ამ ფულით მახლობელს სოფელში უკეთესი ადგილი იქმნას შეძენილი. სკოლის საქმე იქ უკეთესად შეიძლება მოეწყოს, მით უმეტეს, რომ სკოლა თითქმის ქალაქის შუაგულში მოექცა და სხვა-და-სხვა სენი ადვილად ანადგურებს მცენარეებს. სხვა-და-სხვა მოსაზრება წარმოითქვა ამ წინადადების შესახებ. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოებას ამ ადგილის გაყიდვის ნება არ მიეცემ, რადგანაც იგი სახელმწიფოა. ამაზედ კომისიის წევრებმა სთქვეს, რომ შუამდგომლობა უნდა აღიძრას მთავრობის წინაშე ნება მოგვეცეს ამ ადგილის გაყიდვისა და ნაცვლად სხვა ადგილის შეძენისა სკოლისათვისაო. კამათმა ღამის 12 საათამდე გასტანა. დასასრულ კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, რომ პრინციპიალურად სასურველია საბალოსნო სკოლა გადატანილ იქმნას სხვა ადგილასაო. ხოლო ამ საქმის დაწვრილებით განხილვა და გამორკვევა კრებამ დაავალა იმავე კომისიას, რომელსაც სამი ახალი წევრიც მიუმატა — გ. დ. ჟურული, ექიმი ქანანოვი და ზავაროვი. რადგანაც უკვე გვიან იყო და საქმეები-კი ბევრი დარჩა განუხილავი, კრებამ დაადგინა დანიშნოს ამ კრების გაგრძელება შემდეგ პარასკევს, 4 მაისისათვის.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ჭიათურა. წარსულს 1900 წელს შავი-ქვის მწარმოებელთა მესამე კრებაზედ მრავალი სასარგებლო კითხვა გაარჩია და შემუშავდა ჭიათურის საკეთილდღეოთ. სხვათა შორის, კრებამ დაადგინა: ჭიათურაში ეკკლესია აშენდეს, გაიმართოს სახალხო თეატრი, საკვირაო სკოლა, ზნეობრივი კითხვები, სახალხო საუბრები და სხვა... მაგრამ აგერ ათი თვე გავიდა მას შემდეგ და არც ერთი ეს დადგენილება ჯერ არ შესრულებულა. მხოლოდ იმერეთის ეპისკოპოსმა, ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა კეთილინება და ჭიათურის საზოგადოებას ნება დაჰრთო, რომ მონასტრის საეკკლესიო ადგილში ეკკლესია აეშენებინათ, რისთვისაც მისის მეუფების განკარგულებით ეკკლესიის აღმაშენებელი კომიტეტი უკვე შესდგა; კომიტეტი მოკლე დროში აშენებასაც შეუდგება.

ამას გარდა, წარსულის წლის შემოდგომაზედ შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს თავმჯდომარემ დიდად პატივცემულმა ბ-ნმა გიორგი ფ. ზდანოვიჩმა კერძო წერილებით მიჰმართა ჭიათურაში ყველა იმ ინტელიგენტებს, რომელთაც-კი აღნიშნულს საქმეებში დახმარება და თანაგრძნობა შეეძლოთ. ბ-ნმა ზდანოვიჩმა წინადადება მისცა კითხვები შეემუშავებინათ, გამოეთქვათ თავისი აზრი, შეედგინათ კომიტეტი, რომელსაც ამ საქმეების გაძღოლა და მმართველობა შესძლებოდა, ამოერჩიათ დირექტორები საკვირაო სკოლისათვის, მოეპოვებინათ მოთამაშენი სახალხო წარმოდგენებისათვის და სხვანი.

ჭიათურის ახალმა თაობამ ამ საქმეების შესახებ ორჯელ მოახდინა კერძო სხდომა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთს სხდომაზედ გადაჭრილი აზრი და დასკვნა ვერ გამოიტანა, რადგანაც „რამდენიც თავია, იმდენი ჭკუაა".

მას შემდეგ მხოლოდ უბრალო ლაპარაკი და მითქმა მოთქმა-დაა და საქმით-კი არა კეთდება-რა; მხოლოდ თეატრისა და საკვირაო სკოლისათვის ამოარჩიეთ შესაფერი შენობა, რომელიც მართლა კარგს, მოხდენილსა და ყველასთვის ხელ-მოსაწყობ ადგილზეა აშენებული. ადგილი ეკუთვნის ერთს ადგილობრივს ვაჭარს ალექსანდრე გალუსტოვსა და შენობის გაქირავებაზედაც თანხმობა განაცხადა წლიურად 500 მანეთათ. ეს შენობა უკვე ასწერა ბ-ნმა სევასტი გაზნელაძემ და კრების საბჭოს უჩვენა; კრების საბჭომ დასათვალიერებლად თავისს ტეხნიკოსს ბ-ნს ალექსანდრე წერეთელს მიანდო. ბ-ნმა წერეთელმა შენობა ინახულა და თავისი აზრი საბჭოს წარუდგინა. იმედია, პატივცემული საბჭო შენობას დროზედ დაიქირავებს და საკვირაო სკოლისა და სახალხო წარმოდგენების გამართვასაც შეუდგება.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა იშრომოს საკვირაო სკოლაში და სახალხო თეატრში, ჩემის შეხედულობით, საჭიროა პატივცემულმა საბჭომ თვით აქ ჭიათურაში მოახდინოს თავისი სხდომა, მოიწვიოს აქაური ინტელიგენტები და ვინც განაცხადებს მტკიცე სურვილს ამ სიმპატიურს საქმეში მონაწილეობის მიღებისას, ამათგან ამოირჩიოს მუდმივი კომიტეტი წარმოდგენებისა და კითხვების მმართველადა და აგრეთვე საკვირაო სკოლის საქმის მოწყობა.

ჩვენ, ქართველებს, საზოგადოდ მოსაზრება და მისწრაფება მიმართულება კარგი გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმეში მუდამ გულ-ცივობასა და დაუდევრობას ვიჩენთ. 1898 წლიდგან სასულიერო მთავრობის ნება რთვით საკვირაო სკოლა გავხსენით ჭიათურის სამრევლო სკოლის შენობაში; მაშინ ყველა აღტაცებით მიეგება ამ საქმესა და, ვისაც კი შეეძლო, თითქმის ყველამ სიამოვნებით იკისრა საკვირაო სკოლაში სიარული და მეცადინეობა კვირა დღეს, მაგრამ საქმით კი თავი არავინ შეიწუხა, გარდა რამდენისამე კაცისა. საკვირაო სკოლამ მხოლოდ წარსულის სამოსწავლო წლის დამლევამდის ძლივს გასტანა, რადგანაც შავი ქვის წარმოების კრიზისმაც მოუსწრო და სკოლაში მოსიარულე მუშების რიცხვიც შემცირდა, საკვირაო სკოლაში სწავლა ჯერ შეჩერებულია.

ბ. ვაშაძე

რუსეთი

მომავალ სამოსწავლო წლის დამლევს საერო განათლების მინისტრი ვანოვსკი ინახულებს მოსკოვს, ხარკოვს, კიევს, ოდესას, ვარშავას, იაროსლავსა და სხვა ქალაქებს.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ამა მიმდინარე წლის სპეციალისტებს გზავნის სახაზინო სამთო სამრეწველო ადგილებში ადგილობრივ მუშების სანიტარულ მდგომარეობის გამოსარკვევად.

— გზათა მინისტრს აზრადა აქვს ამ წლის დამლევს სადამოს კურსები დააარსოს სახაზინო რკინის გზების ყველა სახელოსნოში.

— მომავალ მაისის შუა რიცხვებში საბოლოოდ განხილული იქმნება ზოგიერთა დასახლებულ ადგილების ქალაქებად გადაკეთებისა და მათში შემოკლებულ თვით მმართველობათა შემოღების საქმე.

— მოსკოვში გაჩენილა უცნაური კაცი, რომელიც რაღაც სადგისის მსგავს იარაღით გულსა სჩხვლეტავს თურმე ყმაწვილ ქალებს, სხვა-და-სხვა სასწავლებელთა მოსწავლეთ. სხვათა შორის, 21 აპრილს, ელისაბედის გიმნაზიაში მომავალს, რკინის გზის კანტროლის უფროსის ქალს გ. ა. ტერენინისას გზა-

---

ლა ვთქვათ აფხაზეთის შესახებ, როცა სვანეთი გადარჯულების გზაზედ იდგა და მეგრელებს „სამარგალო საჩიარზე" სალმრთო წერილს უმზადებდნენ, და აჰ, ძლიერი მქადაგებლის ლაღადი ნახევარის საუკუნის განმავლობაში იალბუზიდგან მოკიდებული ენგურის შესართავამდე და მთელის რიონის ხეობაში ისე მედგრად და ღონიერად გაისმის, როგორც ოდესმე იოანე წინამორბედის იორდანეს ნაპირებზედ. ამ ლაღადმა თითქმის გააერთა რწმენით, სალმრთო ენითა და ზნეობით, დასაგლეჯად დამზადებული იმერთა ტომი. Новое Время-ს „ყველგან-მყოფი" კორრესპონდენტი მალჩანოვიც კი დიდი გულის წყრომით სჩიოდა: გაბრიელს აბხაზეთი, გარუსების მაგიერ, გაუქართველებიაო: რუსის მღვდლების ნაცვლად ქართველები გაუმწესებია ახლად მოქრისტიანებულს აფხაზეთშიო... განა ბიჭვინდის კალთაში ქართველი მღვდელი უცხოდ უნდა ჩაითვალოს!!

ამ კურთხეულის ადამიანის ნამოქმედარმა ბოლოს და ბოლოს რაღაც ღვთაებრივი, გაბრიელისადმი სასოება ჩაუნერგა ხალხს გულში: როცა მიცვალებული ქუთაისის საკრებულო ტაძარში ესვენა, იმერეთის სოფლებსა და ქალაქებში დაჟინებული ხმა იყო მოდებული, ღამ-ღამობით უცხო ვარსკვლავი ჩასცქერის ქუთაისის ტაძარს ფენჯარაში და განსვენებულის კუბოს ნათლის სვეტი ადგიაო; დღესაც მრავალნი მორწმუნენი დაჯერებულნი არიან, რომ გაბრიელის გვამი უხრწნელად განისვენებს გელათის მონასტერში. გელათი წმიდა ნაწილებით მოწამეთას გაუსწორდაო, ამბობს სოფლის ხალხი...

მაგრამ ყველაზედ უფრო საკვირველი ის არის, როგორ შეხვდა ღვთივ განბრძნობილს მოძღვარს მოღვაწეობის დროს ის ხალხი და სამღვდელოება, რომელიც მიცვალებულს მდუღარე ცრემლით უკან მოთქმით მისტიროდა: ვინღა გაგვიწევს შენს მაგიერობასო; როგორ ეპყრობოდნენ მას ზოგიერთები ჩვენის საზოგადოების იმ ნაწილთაგანი, რომელსაც უფრო ბევრი უნახავს და გაუგონია, ვიდრე ხალხს, უფრო ბევრი ესმის, რომელსაც უფრო ბევრი მოეთხოვება და, მაშასადამე, უფრო გონივრულად უნდა ჰქონოდა შეგნებული გაბრიელის ნაყოფიერი მოღვაწეობა? როგორ შეხვდა და ეპყრობოდა? ამის პასუხი თვით გაბრიელს ვათქმევინოთ მისისავე ოქროს პირით.

„ოც და სამი წელიწადი ვარ მე ამ სამწყსოში და, ვგონებ, ნამეტანი არ იქმნება, რომა ვსთქვა, ორასი მაინც, თუ მეტი არა, დაბეზღება და შესმენა მიუვიდა ჩემზე უმაღლესს მთავრობას. რა ცოდვა და უსჯულოება არ მომაწერეს იმ დაბეზღებაში?! მაგალითებრ, კაცის კვლა ერთს დაბეზღებაში პირ და პირ იყო ნათქვამი: რაჭაში თვით საკურთხეველში მღვდელი გურგენიძე მომეკლას," რომელიც, მე არც კი მახსოვდა, თუ იყო ამგვარი მღვდელი აქა. მრუშება, მეძაობა, ქურდობა, წმინდათა მპარაობა, ხელმწიფის ღალატობა! პირჯვრის წერა სულ არ ვიცი, უსამართლო ვარ, ულმრთო, ანგარი ვარ, მოქრთამე და კიდევ სხვანი მრავალი. ვინ მოიგონებს, ახლა ვის გაახსენდება!" (სიტყვა, 6 მაისს 1882 წ. თქმული, დაბეზღებისათვის. ქადაგება გაბრიელისა ტომი II.)

შეიძლება განა ამაზე მაღლა ავიდეს ტანჯვა ადამიანისა, რომელიც მუდამ დღე ჯვარზედ მიმსჭვალული იესოსავით თავის ორგულთა სახსნელად ღვთისადმი ლოცვას აღავლენდა? მაგრამ უთუოდ ასე ყოფილა ჩვენებური ჩვეულება. ჯერ უნდა ვგვემოთ, ეკლის გვირგვინი დავადგათ თავზედ, ჯვარს ვაცვათ ჩვენი მოწამე და მერმე მის წინ მუხლი მოვიყაროთ და იმედისა და სასოების საგნად გავიხადოთ!

აი, გაბრიელის ამ მაგალითით უნდა ნუგეშობდეს ყველა ჩვენი სასულიერო და სამოქალაქო გულწრფელი და კეთილ გონიერი მოღვაწე; იმით მაინც უნდა ინუგეშონ თავი, რომ, თუ სიცოცხლეში ვერ მოესწრება საზოგადოებისაგან ფასის დადებას, მადლობასა და თანაგრძნობას, სიკვდილის შემდეგ მაინც მათი ნაღვაწი საშვილიშვილო განძად და სამარადისო კეთილ-სახსოვრად დარჩება შთამომავლობისათვის... მაგრამ ხომ ისიც ანგარიშში მისაღებია, რომ ყველა გაბრიელივით ვერ გაუძლებს მოღვაწეობის დროს იმ ჭირისა და ვაი-ვაგლახის სიმძიმეს, რასაც ჩვენ ჩვენს მოღვაწეებს თავზედ ვაყრით და ამის გამო უმეტესობა მათგანი ხელ-მხარ მოსხლეტილი და გონება დაბნეული ვინ იცის, სად აწყდებიან და სად იხვეწებიან. ამ გვარმა მიმართულებამ ნიჭიერებითა და ცოდნით ღონიერს კაცებსაც ხელი აალებინა და გული აიყრევინა საზოგადო და საერო საქმეებზედ და ამიტომ ახლა ჩვენში ლიუდოვიკ მეთოთხმეტის წარმოთქმული სიბრძნით დავიწყეთ თითქმის სუყველამ ხელმძღვანელობა. თუ ჩვენ არ ვიქმნებით, ქვა-ქვაზედაც ნუღარ ყოფილაო, ვამბობთ, და მივალთ და მიგვიხარია ამ გზაზედ.

და აი, ამ დედა-აზრის აყოლამ ჰლამის საზიზღარ საქმემდე მიგვიყვანოს. ამის ცხადი მაგალითი ხომ წინ გვიდევს: დღეს კრილოვის წუნია პატარძლის როლს თამაშობს ჩვენი ქუთაისი. წინად საუკეთესო სასიძოები კარზე ტალახს უშრობდნენ ამ მოღალატე სასძლოს, ახლა სათოფეზედ არავინ ეკარება. ბევრი რამ დახელოვნებულ სასძლოს ოინებიც კი იხმარა, მაგრამ მაინც ვერას გახდა: ყველამ ცხვირი აუბზუა. ერთი რჩეული ინტელიგენტი, ჭკუით სავსე, ცოდნით შეიარაღებული, მხნეობით გამსჭვალული კინაღამ გააბა თვისს თვალთ მაქცურს ბადეში თაღლითმა ქუთაისმა, მაგრამ, ველარ გამიგია, ვისდა ბედად და ვისდა საუბედუროდ, უღონო მოტრფიალესავით მეორე ინტელიგენტმა, ერთი სულიერისა არ იყოს, არც თვით ირგო, არც სხვას არგო ჩვენი უნირო ქუთაისი. რჩება, რჩება ქუთაისი უთავ-პატრონოდ! უთუოდ თვითვეა დამნაშავე! მარტო ქალაქის საქმეებს არ მოელის ამ გვარი ბოლო: ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ღირსეული ჯალათი, რომელიც, რაღაც სასწაულის მეოხებით გზაშია შეჩერებული, რომ მოვიდეს და ახალის კაცების ძებნა იქმნეს საჭირო, სად იშოვნიან, ვის მიჰმართავენ? ყველა დაშინდა და, უნდა გავტყდეთ, დიდი საფუძველიცა აქვთ ასეთის სიფრთხილისა: ჩვენის ზემოხსენებულ სენის წყალობით ისეთი გარემოება შემოეხვია ჩვენს დაწესებულებათა და მოსამსახურეებს, რომ მწიკვლშეუხებელი და წელ გაუწყვეტელი აღარავინ გადარჩა: დეპუტატთა საკრებულოს ისეთი ხელოვნურის მოხელეებისაგან დამზადებული ბადე გადააცვეს, რომ „მრუდსა და მართალს", ყველას შიგ უპირებენ გახლართვას, ქალაქის საბჭოს გამგეობა გამოძიების ქვეშე იმყოფება, საზნაურო ბანკი ხომ ორი წელიწადია აგერ ძაფზედ ჰკიდია და ისეთ ძაფზედაც, რომ დღე-დღეზედ უნდა გაწყდეს, მეორე, საურთიერთო ბანკს ხომ საიმისო არა უჭირს რა, მაგრამ ზოგიერთა ვაჟბატონები, პირადის, წვრიმანის ანგარიშების გამო განაწყენებულნი, დიდის რიხით ექადებიან და ცდილობენ საფრთხეში ჩააგდონ. აი, ასეთი რამ დაიკვება ქუთათურმა მოღვაწეობამ ამ საუკუნის სათავეში. ალბად რაც დავთესეთ, იმასა ვმკით. ნეტავი, თქვენის კარგად ყოფნით, მკითხველო, უარესს მაინც არ აღმოაცენებდეს ჩვენი ნათესი! მაშინ ხომ, ამას თუ გადავრჩით, ჭკუის სასწავლებლად მაინც გვეყოფა ჩვენი მწარე წარსული.

Amicus

---

*) ეს წერილი დაწერილი გვქონდა, როცა დავით ლორთქიფანიძის თანხმობა გამოაცხადეს. მადლობა ღმერთს!

ზედ შეხვედრია ეს ვაჟბატონი და ოდნავ გულზედ უკრავს ხელი. ქალმა დაიკივლა და მწარე ტკივილი იგრძნო თურმე, უცნობი კაცი მაშინვე დამალულა. როცა ქალი შინ მიუყვანიათ, გულზედ ჭრილობა დასტყობია. ასევე ექმნა ეს კაცი სხვა გიმნაზიელ ქალებსაც.

— მთავრობას აზრადა აქვს სამხედრო მოხელეებს — მკურნალებს და ყველა იმათ, ვისაც საკლასო თანამდებობანი უჭირავთ, ჯამაგირები მოუმატოს. ამის პროექტის განხილვას სამხედრო საბჭო უკვე შეუდგა. მალე ეს პროექტი ფინანსთა სამინისტროს გადაეცემა. ჯამაგირს მოხელეებს, როგორც ამბობენ, 1902 წლის იანვრიდგან მოუმატებენ.

◆

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. ამ ბოლოს დროს ბურებს როგორღაც უმოქმედობა ეტყობათ. სამაგიეროდ ინგლისელების სიხარულს საზღვარი აღარა აქვს, რომ დღე-დღეზედ ომი დასრულდება და მოისვენებენ. მაგრამ, მიუხედავად ამ საზოგადო აღტაცებისა, მართლის მთქმელნი მაინც კიდევ მოიძებნებიან ინგლისში და არა ჰმალავენ, თუ ინგლისის საქმეები ნამდვილად რა მდგომარეობაში არიან, ან მათი სამხრეთ აფრიკაში მოქმედება რამდენად პატიოსნური და კეთილ-შობილურია. „Morning Leader“ სწერს ტრანსვაალის ომის შესახებ, რომ ამ ომმა ამ ჟამად სრულიად დაჰკარგა ხასიათი ორის განათლებულ ერის ერთმანერთში ბრძოლისა და მთლად საყაჩაღო დაშქრობად გარდიქმნა: სტაცებენ ქონებას ყველას, ვინც-კი ომში მონაწილეობას არ იღებს, ანადგურებენ ყველაფერსა და სხ. და ყოველსავე ამაზედ უთვალავი ფული იხარჯება. დღემდის ინგლისს სამხრეთ-აფრიკის ომზედ მილიარდ ნახევარი მანეთი აქვს დახარჯული.

— სამხრეთ აფრიკის დღევანდელს მდგომარეობას ინგლისის ოფიცრებისა და კერძო კაცების წერილები ერთობ სამწუხაროდ გვისურათებენ. ბევრი ამ წერილთაგანი უსაზღვრო სასოწარკვეთილებითა და უზომო უკმაყოფილებით სავსეა. ჯარების სანიტარული მდგომარეობა სატირალი თურმეა და ამ ჟამად ადგილობრივს საავადმყოფოებში 35,000 მეტი ჯარის კაცი თურმე წევს. დრაგუნთა მესამე რაზმიდგან, რომელსაც სულ 400 კაცი ჰყავს, 135 ავად არისო.

— როგორც „Indépendance Belge“-ის ლონდონელი კორრესპონდენტი იუწყება, ბურების ზოგიერთა სახელმწიფო მოღვაწეთაგან ცნობები თურმე მიუღიათ, რომ ტრანსვაალი და ორანჟეს რესპუბლიკა მზად არიან შედარებით ნაკლებ სამძიმო პირობებით დასთანხმდნენ შერიგებაზედ, ვიდრე აქამდეო. ბურები კმაყოფილნი იქმნებოდნენ, თუ რომ ორანჟეს რესპუბლიკას შეჰრჩებოდა დამოუკიდებლობა და ტრანსვაალის მცხოვრებთ ნება მიეცემოდათ პატარა რესპუბლიკა დაეარსებინათ, რომელიც ორანჟეს რესპუბლიკასავით ინგლისის მფარველობის ქვეშ იქმნებოდა და არ ექმნებოდა იმის უფლება, რომ, ინგლისის ნება დაურთველად, უცხო სახელმწიფოებთან ხელ-შეკრულობანი და პირობები შეეკრაო. აი, რა პირობებით შეიძლებოდა დასთანხმებოდნენ ამ ჟამად ბურები შერიგებასაო, სწერს კორრესპონდენტი.

„ეს პირობები შეიძლება, რასაკვირველია, ცოტად თუ ბევრად შეცვლილი იქმნეს, მაგრამ ცოდვად ჩაეთვლებოდა ყველას, ვინც კი ბურებს წინააღმდეგობას ურჩევდა და მოატყუებდა, ვითომ მეტის მოლოდინი უნდა ჰქონდეთო, — სწერს კორრესპონდენტი. ზოგიერთს მუხლში ინგლისის მთავრობა, ეჭვი არ არის, არას დაუთმობს; აგრეთვე ტყუილად ექმნებოდათ იმედი, ვითომ ინგლისი სრულს დამოუკიდებლობას, ან და კაპის ახალშენის აჯანყებულთ თავისუფლებას მიანიჭებდეს. თუ რომ მართალია ის, რომ ლორდი კიტჩინერი შერიგებას გულით მოწადინებულია და, გამოისტუმრა თუ არა მილნერი ინგლისისაკენ, კიდეც შეუდგა საქმეს, რომ ბოტასთან მოლაპარაკება განეახლებინა, მაშინ უკეთესს რჩევას ბურებს სხვას ვერ მივცემდით, გარდა იმისა, რომ თავისს წინანდელს ზოგიერთს მოთხოვნილებაზედ უარი სთქვან და როგორც იქმნება შეურიგდნენ. ბურების თანამგრძნობელთა შორის ლონდონში ამ ბოლოს დროს ხშირად გაისმის, რომ ბურები წინააღმდეგობით ვერარას მოიგებენ და უმჯობესია შეჰრიგდნენ. უამისოდ საქმეს მხოლოდ ის ცუდი შედეგი მოჰყვება, რომ უსამართლო ომისათვის მეტი ხარჯი უნდა იქმნეს გაწეულიო“.

◆

[illegible]

კარგს ცოლ-ქმრობაში ქმარი თავია და ცოლი — გულია თავისათვის საჭირო.

რუკერტი

* * *

უფრო ადვილია შვიდს ქალს შეაყვაროს თავი, ვიდრე ერთისაგან თავი დაიხსნა.

დესმაჰი

* * *

უფრო მეადვილება ვკითხო მოხუცს, — როდის მოკვდები, ვიდრე ქალს, — როდის დაიბადეო.

ლა ბრუიერ

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აპრილი

პეტერბურგი. 27 აპრილს, ღვთივ განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის დაბადების დღეს, გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალნი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდნი მთავარნი.

მოსკოვი. საერო განათლების მინისტრი იყო საიმპერატორო ლიცეიში, სადაც დახვდნენ დირექტორი და პროფესორები. მინისტრმა ინახულა კლასები და დაესწრო მათემატიკისა, ლათინურის და ბერძნულის ენების გაკვეთილებს. წასვლის დროს საღმრთო სჯულის მასწავლებელს მიჰმართა და უთხრა: „დაამკვიდრეთ მოსწავლეთა შორის სამართლე და გამოიყვანეთ ეს მოსწავლენი ხელმწიფისა და სამშობლოს ნამდვილ შვილებად“.

იოკაგამა. როგორც ისმის, 3000 მეამბოხე ჩინელი შეესია კორეის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვრით. დიდი აღელვებაა იმ ოლქში, რომელიც ჩინელებმა დაიჭირეს.

პეკინი. ვალდერზეემ ნება მისცა ჩინელთა ზოგიერთ რაზმებს ქურდბაცაცების ასალაგმავად საპოლიციო სამსახური აასრულონ პეკინის მახლობლად.

სტოკგოლმი. მეფემ შეიწყნარა საზღვაო მინისტრის დირსენის თხოვნა თანამდებობიდგან გადადგომის შესახებ.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება, რომ იომანრთა 18 ბატალიონი გემებზედ დასხდნენ ინგლისში დასაბრუნებლადაო.

როგორც „რეიტ. სააგენტოს“ კლეკსდორპიდგან ატყობინებენ, გადასწყვიტეს გარტებეესფონტეინი და აქციონ. ამბობენ, შტეინი და დევეტი დასავლეთ ტრანსვაალში არიანო.

მადრიდი. ბარსელონაში რამდენადმე მშვიდობიანობაა; ამისდა მიუხედავად საქმის ვითარება მაინც სერიოზულია; ჯერ კიდევ აპატიმრებენ ხალხს. ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ ქუჩებში წესიერებას ეხლა უმთავრესად ქალები და ბავშვები არღვევენო. ცხენის რკინის გზის ვაგონების მიმოსვლა შეუძლებელი შეიქმნა. დიდ ქარხნებში მუშაობა განახლებულ იქმნა.

ბილბაოდგან იუწყებიან იმ ანარქისტთა დამალვის შესახებ, რომელნიც ამ ოლქში მოქმედებდნენ. მშვიდობიანობა ყველგან აღდგენილ იქმნა.

კონსტანტინეპოლი. უკანასკნელ ექვს დღეს არც ერთი კაცი არ გამხდარა ავად შავის ჭირით, ამიტომ საკარანტინო ზომები მგზავრთათვის გაუქმებულ იქმნა.

ბელგრადი. სარწმუნოებათა მინისტრი მარინკოვიჩი და სამხედრო მილოშ ვასიჩი თანამდებობიდგან გადადგნენ, მეფემ სარწმუნოებათა მინისტრად პროფესორი და მინისტრად ნამყოფი კოვაჩევიჩი დანიშნა, ხოლო სამხედრო მინისტრად საგენერალო შტაბის პოლკოვნიკი ენკოვიჩი. მინისტრების გადადგომის მიზეზი ის იყო, რომ მათ ერთმანეთში კერძო უკმაყოფილება მოუვიდათ.

28 აპრილი

პეტერბურგი. ჭირის საწინააღმდეგო კომისიისაგან. სამკურნალო საბჭომ, განიხილა რა ვლადიმიროვისა, ტეკმაი ტუბეკს, მერკეს და კარაკუმში მომხდარი სნეულებანი, იმ აზრს დაადგა, რომ ინდოეთის ჭირიაო.

გენერალის ვოლკოვისაგან დეპეშა მოვიდა 17 აპრილის თარიღით პორტ-არტურიდგან: გენერალ ცერპიცკის მთელი რაზმი 15 აპრილს დაბრუნდა მუკდენში; დაჭრილები წამოყვანილნი არიან, რომელთა შორის პოდესაული დეპეშკინი გარდაიცვალა.

მოსკოვი. განოვსკიმ დაათვალიერა სტუდენტთა საზოგადო საცხოვრებელი, გასინჯა ყველა ოთახები და სტუდენტებს ესაუბრა.

პარიჟი, ბარცელონიდგან ცნობები მოვიდა, რომ დიდძალი ჯარია განაწილებული ქალაქის სხვა და სხვა ადგილას. გუბერნატორმა ბრძანება გასცა გააუქმონ მუშათა საზოგადოებანი. ცხენის რკინის გზის მუშათა მიერ მუშაობის ადკვეთა არ გათავებულა. მრავალნი არიან დაპატიმრებულნი. ამბობენ, რომ ამას წინად მომხდარი უწესოებანი უმთავრესად ანარხისტების საქმეაო.

კლერკსდორპი. მეტუენი იუწყება, რომ ბურებს გაუისფონდენს ახლო წაგართვით მათ მიერ წაღებული ზარბაზანიო. მოკლულია ოთხი ბური, შვიდი ტყვედ არის დაჭერილი.

შანხაი. აქ მოვიდა პეკინისაგან მიმავალი ბო, რომელიც საფრანგეთის ელჩად არის დანიშნული, პიშონის ადგილას. — როგორც იუწყებიან კერძო დეპეშით სარწმუნო წყაროებიდგან, სიანფუში რეაქციონერთა დასია, რომელსაც ჰმეთაურობს საჭურისი ლილიენინი და რომელსაც მხარს უჭერენ დუნ იამენი და იუნ ლი, მტრულის თვალით იყურება თურმე და თავისს მტრულს მოქმედებას აღარა ჰფარავს. ჰშიშობენ, რომ შეიძლება სასახლეში რევოლიუცია მოხდესო. იმპერატორი უნდათ გადააყენონ კანონიერ მემკვიდრის სასარგებლოდაო.

პეკინი, ამერიკის ჯარებმა განათავისუფლეს დღეს მათს მეთვალყურეობას ქვეშე მყოფი უბნები, ქალაქის აღკრძალულ ნაწილს გარდა. ეს ამბავი ჩაფიფიმ წარსულს კვირასვე აცნობა ვალდერზეს. ამერიკელთა ხელში მყოფი ის უბნები, რომელიც ინგლისელთა მიერ დაჭერილ უბნებს ჰსაზღვრავს, ინგლისელებს გარდაეცა, დანარჩენებს-კი გერმანელები ჰმეთვალყურეობენ.

ვენა. „Frewdeu Blatt“-ი, ჰლაპარაკობს რა საბერძნეთისა და რუმინიის მეფეთა მიერ აბბაციაში მოსალოდნელ ერთმანერთის ნახვის შესახებ, ამბობს, რომ ეს ერთად შეყრა მეფეებისა განამტკიცებს ორსავ სახელმწიფოს შუა არსებულს მეგობრულს დამოკიდებულებასო. ამ მეგობრულ განწყობილებისავე გამო მათს ერთმანეთის ნახვას არავითარი ფარული აზრი და ბალკანიის სხვა სამეფოთა წინააღმდეგ მტრული განზრახვა არ მიეწერებაო.

კონსტანტინეპოლი. ელჩებმა დაუბრუნეს პორტას უკანასკნელი ნოტა, რადგან იგი უცხო-ქვეყნის საფოსტოთა შეურაცხმყოფელად იცნეს. ამ ნოტაში პორტა საფოსტოებს კონტრაბანდის ბრალსა სდებს. ელჩები უარს არიან რამე მიწერ-მოწერა გამართონ ამ საგნის შესახებ პორტასთან და საფოსტოთა დაკმაყოფილებასა თხოულობენ.

ვისბადენი. პრინცესსა ლუიზა პრუსიელი გარდაიცვალა.

◆

განცხადებანი

16 მაისს, 1901 წელს, საღამოს 8 საათზედ, **სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს სადგომში მოხდება**

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიყიდება სემინარიის კუთვნილი ორ სართულიანი სახლი. ეს სახლი მე 5 ნაწილშია, კუთხის ქუჩაში. მიწა სახლ ქვეშ 26 ოთხკუთხი საჟენია. მამული 2,000 მანეთადაა დაფასებული და ვაჭრობაც ამ თანხიდგან დაიწყობა.

(3—111—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1 მაისს, შუადღის 1 საათზედ, გამგეობის თანდასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის პირველ ნაწილში ტერ-გე სოვის ქუჩის დაგეგმისა და მოკირწყვლის საქმე. სამუშაო 1868 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიან პირობანი გაისინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დღის 3-დგან საათამდე.

(2—6.—1)

ანდრეევსკის ქუჩაზედ, № 23

იყიდება საწვრილმანო დუქანი

საქონელი თავისის გამართულობითა და მოწყობილობით. ფასი 350 მანეთამდეა. მსურველს შეუძლიან მოელაპარაკოს დუქანში პატრონს.

(5—112—1)

მიწა

იყიდება ვერაზედ, იქ, საცა ზაფხულობით ლაგერი დგება. იქვე შენდება მართლმადიდებელთა ეკკლესია. ფასი საჟენისა 2—75 ვიდრე 4—25. მიწის მდებარეობა მეტად კარგია. იკითხეთ სტოროჟი დათიკო.

(1—113—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

	კ.
ქამუშაძის გაჭირვება დ. კლდიაშვილისა	50
მცხეთელი ანრია	10
ი. გოგებაშვილი, ზ. ჭიჭინაძისა	15
ლექსები გაბრუაშვილისა	25
ბუნების საოცარი მოვლენანი	15
სახუმარო გასართობი	10
Грузинскіе поэты	30
Характеристики и воспоминанія	50
ისტორია მართლ მადიდებელ ეკკლესიისა ეკკლესიათა განყოფამდე	60
კოპერნიკოდამ დარვინამდე	10
ამერიკული ვაზის მოშენება	5
დამონებულნი	1 მ.,
საქართველოს ისტორია ბროსესი II	„ 70
ოცი წლის წინეთ გ. წერეთლისა	5
ბაში აჩუკი, აკაკისა	30
ლექსები, განდეგილისა	50
აკიდო, ი. გოგებაშვილისა	15
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა	60
მოგონება, ხალხური სიმღერა გურულს კილოზე, მუზიკა ქორიძისა	40
ვაი, დრონი დრონი, მისივე	20
ინდი მინდი	30
შავი შაშვი	20
ნუ მღერი, ტურფავ	20
ბროლის ყელი	20
საყვარელმა განმაშორა	20
ქართული სიმფონია	25
პატარა ჯიბის ვეფხის ტყაოსანი	25
კონსპექტი არ. ქუთათელაძისთან 25	
იგივე II წიგნი	35
მესხური ანდაზები I წიგნი	4
იგივე II	1
	მან. კაპ.
ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა	„ 5

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Апрѣля 1901 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.